თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

# სოფელ პანტიანში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური დოკუმენტაცია
3. დამატებითი ინფორმაცია.
4. დანართი1, რეკვიზიტები;
5. დანართი 2, ინფორმაცია საწარმოს მიერ წყალსადენი ქსელის სამშენებლო, სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების შესახებ.
6. დანართი N3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეახებ.
7. დანართი N4. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.
8. დანართი N5. შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი.
9. ნახაზები.

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ შესაბამისად. (**http://procurement.gov.ge/**)

პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

## ტექნიკური დოკუმენტაცია

1. სამუშაოები უნდა შესრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღის ვადაში.
1.1 . **დაფინანსების წყარო: 2016 წლის** სახელმწიფო ბიუჯეტით 276450 (95%) ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტით 14550 (5%) ლარი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 04 თებერვლის N175 განკარგულება).

**2.** შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა მისი ექსპლუატაციაში მიღებიდან არის 2 (ორი) წელი, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

**3. ანგარიშსწორების პირობები:**
3.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (შემსყიდველის მიერ დამოწმებული) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 30 დღის ვადაში.
3.2 ეტაპობრივი ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების 85%-ის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად 3.1 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
**3.3. დასაშვებია წინასწარ ანგარიშსწორება, რომლის შემთხვევაში:**
3.3.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების ღირებულების 30 %-ის წინასწარი გადახდით მიმწოდებლის მიერ იდენტური ოდენობის თანხაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემულ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, (მიმწოდებელი დარეგისტრირებულია თეთრ სიაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების $26^2$ მუხლის მე-6 პუნქტი), რომლის მოქმედების ვადაც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადას. ხოლო შემდეგ კი ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით შემდეგი პირობებით:
3.3.1.1 შუალედური ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ სამუშაოების ეტაპობრივი შესრულების დროს, მიმწოდებლის მიერ მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ფორმა N2-ის), შესაბამისად გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წაროომდგენის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის ვადაში. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 40% მიმართული იქნება გაცემული ავანსის დასაფარად, ხოლო დარჩენილი 60% ანაზღაურდება შემსყიდველის მიერ. აღნიშნული გრაფიკით ანგარიშსწორება განხორციელდება ავანსის სრულად ამოწურვამდე, ხოლო ამის შემდეგ შესრულებული სამუშაოები ანაზღაურდება სრულად ამ ხელშეკრულების 3.3.2 პუნქტის გათვალისწინებით.
3.3.2 ეტაპობრივი ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებლო ღირებულების 85%-ის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად ამ ხელშეკრულების 3.3.1.1 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
**4. საბოლოო ანგარიშსწორება:**
4.1 საბოლოო ანგარიშსწორება (სახელშეკრულებლო ღირებულების 15%-ის ფარგლებში) მოხდება სამუშაოების დასრულების შემდეგ, ს.ს.ი.პ. - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრი"-ს მიერ აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული სამშენებლო-საინჟინრო დადებითი დასკვნისა, (რომელიც წარმოდგელილი უნდა იყოს სამუშაოების დასრულებიდან, საბოლოო ფორმა #2-ის წარმოდგენიდან 45 კალენდარული დღის ვადაში. ექსპერტიზის ხარჯებს ფარავს მიმწოდებელი) და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის ვადაში.
4.2 მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემის შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობის ასლი.
4.3 დადებითი დასკვნის 4.1 პუნქტით განსაზღვრვლ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებუ დღეზე ხელშეკრულების ღირებულები 0,1%-ის ოდენობით.

**5**. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები დანართი №1–ის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული უნდა იქნეს საწარმოს ბეჭედით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

**6.** პრეტენდენტს 2013 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 თებერვლამდე უნდა გააჩნდეს წყალსადენი ქსელის სამშენებლო, სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რისთვისაც მან უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია საწარმოს მიერ 2013 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 თებერვლამდე წყალსადენი ქსელის სამშენებლო, სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მათი შესრულების შესახებ დანართი N2-ის მიხედვით (ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა საერთო ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 100000 ლარი. შესრულებულ სამუშაოებში იგულისხმება ის სამუშაოები, რომლებიც დასრულებულია და გაფორმებულია მათი შესრულების დამადასტურებელი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები). დანართი N2 ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული უნდა იქნეს საწარმოს ბეჭედით /ბეჭდის არსებობის შემთხვევაში/. დანართში მითითებული ხელშეკრულებების და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები ატვირთული უნდა იქნეს ელექტრონულ სისტემაში. იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეუძლებელია ამ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მაშინ პრეტენდენტმა ზემოხსენებულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს (სისტემაში ატვირთოს) მის მიერ ხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტების (ფორმა N2-ები) ასლები, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

7. პრეტენდენტს საკუთრებაში ან/და სარგებლობის უფლებით უნდა გააჩნდეს შესასრულებელი სამუშაოებისთვის საჭირო მანქანა-მექანიზმები. რისთვისაც უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ დანართი №3–ის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული უნდა იქნეს საწარმოს ბეჭედით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

8. <u>პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს დანართი N5 შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი.</u> გეგმა-გრაფიკში მითითებული სამუშაოები გაწერილი უნდა იყოს 2 კვირის (14 დღე) მიხედვით. რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული უნდა იქნეს საწარმოს ბეჭედით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

**9.** პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა, დანართი N4-ისა და მისი N1,N2 ცხრილების მიხედვით, რომელებიც ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული უნდა იქნეს საწარმოს ბეჭედით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში). განუფასებელი დანართი N4-ისა და მისი N1,N2 ცხრილების (ხარჯთაღრიცხვის) წარმოუდგენლობა ან ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული ხარჯთაღრიცხვის ფორმის ცვლილება გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

10. <u>მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები უნდა აიტვირთოს ელექტრონულ სისტემაში.</u>

**11. ფასის ცვლილების შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს** მის მიერ ელექტრონულ სისტემაში საბოლოოდ დაფიქსირებული ს ა ტ ე ნ დ ე რ ო წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, დანართი N4-ისა და მისი N1,N2 ცხრილების მიხედვით, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია:

12.1. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 20%-ზე მეტი ოდენობით შემცირდება, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-21 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებისას შემსყიდველს წარუდგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 6%-ის ოდენობით.

12.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას.

13. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 20%-ზე მეტით ფასდაკლების შემთხვევაში.

13.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-11 მუხლის მე-2[1] პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტი ვალდებულია ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ხარჯთაღრიცხვის ხარისხთან შესაბამისობა დაასაბუთოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო“-ს დასკვნით ან სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრი“-ს მიერ აკრედიტებული იმ პირის მიერ გაცემული დასკვნით, რომელსაც გააჩნია აკრედიტაცია ამ პუნქტით განსაზღვრული მომსახურების სფეროში. მომსახურების ხარჯებს დაფარავს პრეტენდენტი.

13.2 ტექნიკური დოკუმენტაციის 13.1 პუნქტში განხილული ფაქტის დადგომის შემთხვევაში, მაგრამ აუცილებლად ტენდერისათვის „გამარჯვებული გამოვლენილია“ სტატუსის მინიჭებამდე, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტს მოეთხოვება, ტექნიკური დოკუმენტაციის 13.1 პუნქტში მოთხოვნილი დასკვნის სისტემის მეშვეობით წარმოდგენა. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დასკვნა გაცემული იქნება სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრი“-ს მიერ აკრედიტირებული პირის მიერ, მაშინ პრეტენდენტმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს (დასკვნის გამცემის) შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობის ასლი.

13.3 დასკვნის დედნის წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს დაუდგება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის (ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში).

13.4 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის დედანი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციაში და დაბრუნებას არ ექვემდებარება.

13.5 პრეტენდენტის მიერ 13.2 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დასკვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება.

13.6 დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის (შეუსაბამო: სატენდერო განცხადებასთან, სატენდერო დოკუმენტაციასთან ან/და სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ/დაზუსტებულ დოკუმენტაციასთან), წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, 13.1 და 13.2 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობის ასლის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

14. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

**14.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდული პირების რეესტრიდან.
ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ ქონის შესახებ.
გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არ არსებობის შესახებ.
ე) ცნობა/ამონაწერი, აღსრულების ეროვნული ბიუროდან, მოვალეთა რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის არ არსებობის შესახებ.

14.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.
ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდული პირების რეესტრიდან.
გ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არ ქონის შესახებ.
დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არ არსებობის შესახებ.

**15.** ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ; ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში - საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ზემოხსენებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.

**16.** პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები წარმოდგენილი უნდა იქნეს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-17 პუნქტის გათვალისწინებით. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ან მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო კომისია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტების „გ" და „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

**17.** ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული (ნოტარიულად დამტკიცებული) თარგმანები ქართულ ენაზე. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს გადაწყვეტს სატენდერო კომისია.

# ტექნიკური დაცალება

| სოფელ პანტიანში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები | | | |
|---|---|---|---|
| | | | ცხრილი №1 |
| № | სამუშაოს დასახელება | განზ. ერთ. | რაოდე-ნობა |
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | I. სათავის (კაპტაჟის) მოწყობა სამ წერტილში | | |
| 1 | **არსებული ბეტონის ნაგებობის დემონტაჟი** | **მ3** | **4.88** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 64.35 |
| | სხვა მანქანები | მან/სთ | 46.95 |
| 2 | წყაროს თვალის გაწმენდა გასუფთავება ხელით (V ჯგუფის გრუნტი) | **მ3** | **6.60** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 39.07 |
| | სანგრევი ჩაქუჩი | მან/სთ | 27.06 |
| 3 | ბეტონის ნარჩენებისა და კლდოვანი ქანის დატვირთვა ხელით ავტოთვიმცლელზე | მ3 | 11.48 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 16.41 |
| 4 | **ზედმეტი გრუნტის ტრანსპორტირება 3კმ** | **ტ** | **22.95** |
| 5 | **ბეტონის მ-200 მონოლითური კაპტაჟის მოწყობა** | **100 მ3** | **0.0165** |
| | შრომითი რესურსები | კ/სთ | 20.13 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 2.03 |
| | რ ე ს უ რ ს ე ბ ი | | |
| | ბეტონი მ-250 | მ3 | 1.67 |
| | ხის ფარი | მ2 | 2.11 |
| | ხის მასალა | მ3 | 0.07 |
| | დანარჩენი ხარჯები | ლარი | 3.45 |
| 6 | **ფ. მილის მონტაჟი დ-159/4 მმ პერფორირებული** | **მ** | **2.4** |
| | შრომის დანახარჯი | მ | 2.40 |
| | მანქანები | ლარი | 0.252 |
| | რესურსები | | |
| | მილი დ-159/4 | მ | 2.40 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.14 |
| 7 | **ფ. მილის მონტაჟი დ-159/4 მმ** | **მ** | **1.2** |
| | შრომის დანახარჯი | კ/სთ | 0.42 |
| | მანქანები | ლარი | 0.042 |
| | რესურსები | | |
| | ფ. მილი დ-159/4.მმ | მ | 1.20 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.07 |
| 8 | **ფ. მილის მონტაჟი დ-89/4.5 მმ (საჰაერო)** | **მ** | **2.4** |
| | შრომის დანახარჯი | კ/სთ | 0.85 |
| | მანქანები | ლარი | 0.084 |
| | რესურსები | | |
| | მილი დ-89X4.5 | მ | 2.40 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.14 |
| 9 | **ფასონური ნაწილების მონტაჟი.** | **ტ** | **0.0186** |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 5.67 |
| | სხვა მანქანა | ლარი | 3.01 |
| | რესურსები | | |
| | გადამყვანი ( ამერიკანკა) 150/75მმ | ც | 3.00 |
| | ფ. მუხლი დ-90მმ, $90^0$ | ც | 6.00 |
| | არმატურა ა-I დ-10 | ტ | 0.0006 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.91512 |
| 10 | **კაპტაჟის შევსება გარეცხილი ღორღით 25-30 მმ** | **100 მ3** | **0.009** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 1.54 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0.48 |
| | რესურსები | | |
| | გარეცხილი ღორღი 25-30 მმ | კუბ.მ | 0.93 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.03 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 | **კაპტაჟის შევსება გარეცხილი ღორღით 15-10 მმ** | **100 მ3** | **0.0075** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 1.28 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0.40 |
| | რესურსები | | |
| | გარეცხილი ღორღი 15-10 მმ | კუბ.მ | 0.77 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.03 |
| 12 | **კაპტაჟის შევსება ქვიშახრეშოვანი ნარევით 5-2 მმ** | **100 მ3** | **0.009** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 1.54 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0.48 |
| | რესურსები | | |
| | ქვიშახრეში 2-5მმ | კუბ.მ | 0.93 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.03 |
| 13 | **კაპტაჟის შევსება ქვიშით** | **100 მ3** | **0.010** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 1.71 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0.53 |
| | რესურსები | | |
| | ქვიშა | კუბ.მ | 1.03 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.04 |
| 14 | **თიხის კლიტის მოწყობა** | **მ3** | **0.036** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 0.23 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0.08 |
| | რესურსები | | |
| | თიხა | კუბ.მ | 0.04 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.00 |
| 15 | **გრუნტის უკუმიყრა ხელით** | **მ3** | **2.40** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 2.90 |
| 16 | **გრუნტის მობელტვა ხელით** | **1000 მ2** | **0.008** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 1.44 |
| | <u>II. შემკრები ჭების მოწყობა</u> | | |
| 17 | **IV კატ. გრუნტის დამუშავება ექსკავატორის კოვშით 0.5მ3 ნაწილობრივ დატვირთვით** | **მ3** | **4.06** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 0.1095 |
| | ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0,5-მ3, | მან/სთ | 0.2454 |
| | სხვა მასალები | ლარი | 0.0090 |
| 18 | **IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით ტრანშეაში** | **მ3** | **0.28** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 0.85 |
| 19 | **არსებული გრუნტი ტრანშეას ბულდოზერით 80ცხ.ძ/. (დატკეპნით)** | **მ3** | **1.57** |
| | ბულდოზერი 80ცხ.ძ | მ/სთ | 0.0145 |
| 20 | **ზედმეტი გრუნტის ტრანსპორტირება 3კმ** | **ტ** | **4.47** |
| 21 | **ხრეშის ბალიშის მოწყობა ჭის ქვეშ 10სმ-ზე** | **მ3** | **0.14** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 0.128 |
| | მანქანები | ლარი | 0.053 |
| | ხრეში | მ3 | 0.166 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.003 |
| 22 | **ბეტონის ბალიშზე ანაკრები რკ/ბ ჭის მოწყობა დ=1000მმ 1კომპლ. სიმაღლით 1.5მ. ხუფით** | **10 მ3** | **0.192** |
| | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 20.35 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 13.71 |
| | რ ე ს უ რ ს ე ბ ი | | |
| | რკ/ბ ჭა დ=1000მმ, ჰ-1500მმ | ც | 1.00 |
| | ბეტონი სახურავი ფილა, ხუფით | ც | 1.00 |
| | ბეტონი ძირის ფილა | ც | 1.00 |
| | სხვა მასალა | ლარი | 12.69 |
| 23 | **ჭის კედლების იზოლაცია ბიტუმის მასტიკით** | **მ2** | **4.710** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 1.58 |
| | მანქანები | ლარი | 0.07 |
| | ბიტუმი | ტ | 0.01 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.11 |
| | <u>III. შემკრები რეზერვუარი</u> | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 24 | IV კატ. გრუნტის დამუშავება ექსკავატორის კოვშით 0.5მ3 ნაწილობრივ დატვირთვით | მ3 | 45.00 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 1.2150 |
| | ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0,5-მ3, | მან/სთ | 2.7225 |
| | სხვა მასალები | ლარი | 0.0995 |
| 25 | IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით ტრანშეაში | მ3 | 3.15 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 9.42 |
| 26 | ფოლადის შემკრები 20ტ რეზერვუარის მოწყობა ქვაბულში ლუქითა და ანტიკოროზიული დაფარვით (ყოფილ გამოყენებაში, ლაბარატორიული დასკვნით სასმელი წყლის შესანახად გამოსაყენებლად) | ცალი | 2.00 |
| 27 | რეზერვუარის გვერდულების და სახურავზე თიხოვანი გრუნტის შემოტანა და დაყრა საშ. შისქ 50სმ | მ3 | 75.00 |
| | შრ. დანახარჯი | მ3 | 487.50 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 196.02 |
| | თიხა | მ3 | 86.25 |
| | სხვა მასალები | ლარი | 1.500 |
| 28 | თიხოვანი გრუნტის ფენებად დატკეპნა პნებმოსატკეპნით ფენებად ყოველ 20სმ-ში | მ2 | 180.00 |
| | შრ. დანახარჯი | კ/სთ | 29.19 |
| | პნევმო-სატკეპნი | ლარი | 44.43 |
| 29 | რეზერვუარზე ბალახის დათესვა და მოვლა | მ2 | 180.00 |
| | შრ. დანახარჯი | კ/სთ | 7.79 |
| | ბალახის თესლი | კგ | 3.60 |
| 30 | რეზერვუარის გამოცდა წყალუჟონობაზე | მ3 | 20.00 |
| | შრ. დანახარჯი | კ/სთ | 1.81 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0.05 |
| | წყალი | მ3 | 25.00 |
| | სხვა მასალები | ლარი | 0.54 |
| 31 | გაწმენდილი რეზერვუარის გარეცხვა, დეზინფექცია კირ-ქლორით | მ3 | 20.00 |
| | შრ. დანახარჯი | კ/სთ | 4.54 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0.02 |
| | წყალი | მ3 | 66.40 |
| | კირ-ქლორი | კგ | 6.00 |
| | სხვა მასალები | ლარი | 1.76 |
| | IV. სანიტარული ღობის მოწყობაკაპტაჟებზე | | |
| 32 | IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით ქვაბულში 0.3X0.3X0.2; 22ცალი | მ3 | 0.396 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 1.18 |
| 33 | კლდოვანი ქანის დამუშავება ხელით ექვაბულში 0.3X0.3X0.1 | მ3 | 0.198 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 1.17 |
| | სანგრევი ჩაქუჩი | მ/სთ | 0.81 |
| 34 | ბეტონის მ200 წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა ზომ. 0.3X0.3X0.3მ 40ც | მ3 | 0.59 |
| | შრ. დანახარჯი | მ3 | 2.67 |
| | სხვა მასალები | ლარი | 0.22 |
| | ბეტონი მ200 | მ3 | 0.61 |
| | ხის ყალიბის ფარი | მ2 | 0.96 |
| | ხის მასალა | მ3 | 0.01 |
| | სხვა მასალები | ლარი | 0.166 |
| 35 | სანიტარიული ღობის მოწყობა კუტიკარით 44მ, სიმ. 1.5მ (ქარხნული) | მ2 | 66.00 |
| | V. მილმდენის მოწყობის სამუშაოები | | |
| 36 | IV კატ. გრუნტის დამუშავება ექსკავატორის კოვშით 0.5მ3 ნაწილობრივ დატვირთვით | მ3 | 6476.00 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 174.8520 |
| | ექსკავატორი ჩამჩის მოც. 0,5-მ3, | მან/სთ | 391.7980 |
| | სხვა მასალები | ლარი | 14.3120 |
| 37 | IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით ტრანშეაში | მ3 | 194.28 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 580.90 |
| 38 | IV კატეგორიის გრუნტების გაბურღვა დ-150მმ სავალი ნაწილის ქვეშ | გ.მ. | 12.00 |
| 39 | გარცმის ფოლ. მილის დ159/4მმ მოწყობა ტრანშეაში 10მ | მ | 12.00 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 4.84 |
| | მანქანები | ლარი | 1.260 |
| | ფოლ.მილი დ-159/4მმ | მ | 11.99 |
| | სხვა მასალა | ლარი | 1.168 |
| 40 | პოლიეთილენის მილის **SDR21, PN8** დ-110X5.3მმ. ჰიდრავლიკური შემოწმებით | მ | 1300.00 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 136.50 |
| | მანქანები | ლარი | 69.940 |
| | მილი დ-110X5.3მმ SDR21, PN8 | მ | 1313.00 |
| | სხვა მასალა | ლარი | 1.560 |
| 41 | პოლიეთილენის მილის **SDR21, PN8** დ-75X3.6მმ. ჰიდრავლიკური შემოწმებით | მ | 2365.00 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 248.33 |
| | მანქანები | ლარი | 127.237 |
| | მილი დ-75X3.6მმ SDR21, PN8 | მ | 2388.65 |
| | სხვა მასალა | ლარი | 2.838 |
| 42 | პოლიეთილენის მილის **SDR21, PN8** დ-63X3მმ. ჰიდრავლიკური შემოწმებით | მ | 880.00 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 92.40 |
| | მანქანები | ლარი | 47.344 |
| | მილი დ-63X3მმ SDR21, PN8 | მ | 888.80 |
| | სხვა მასალა | ლარი | 1.056 |
| 43 | პოლიეთილენის მილის **SDR21, PN8** დ-50X2.4მმ. ჰიდრავლიკური შემოწმებით | მ | 696.00 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 73.08 |
| | მანქანები | ლარი | 37.445 |
| | მილი დ-50X2.4მმ SDR21, PN8 | მ | 702.96 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.835 |
| 44 | პოლიეთილენის მილის **SDR21, PN8** დ-40X2მმ. ჰიდრავლიკური შემოწმებით | მ | 1306.00 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 137.13 |
| | მანქანები | ლარი | 70.263 |
| | მილი დ-40X2მმ SDR21, PN8 | მ | 1319.06 |
| | სხვა მასალა | ლარი | 1.567 |
| 45 | პოლიეთილენის მილის **SDR13.6, PN12.5** დ-32X2.4მმ. ჰიდრავლიკური შემოწმებით | მ | 698.00 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 73.29 |
| | მანქანები | ლარი | 37.552 |
| | მილი დ-32X2მმ SDR13.6, PN12.5 | მ | 704.98 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.838 |
| 46 | პოლიეთილენის მილის **SDR11, PN16** დ-20X2მმ. ჰიდრავლიკური შემოწმებით | მ | 850.00 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 89.25 |
| | მანქანები | ლარი | 45.730 |
| | მილი დ-20X2მმ SDR11, PN16 | მ | 858.50 |
| | სხვა მასალა | ლარი | 1.020 |
| 47 | ქვიშის ტრანსპორტირება და მილსადენის შეფუთვა დატკეპნით | მ3 | 2266.60 |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 4079.88 |
| | ქვიშა | მ3 | 2493.26 |
| 48 | არსებული გრუნტი ტრანშეას ბულდოზერით 80ცხ.ძ/. (დატკეპნით) | მ3 | 4403.68 |
| | ბულდოზერი 80ცხ.ძ | მ/სთ | 40.5579 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 49 | **ზედმეტი გრუნტის ტრანსპორტირება 3კმ** | ტ | **4079.9** |
| 50 | **ბეტონის ბალიშზე ანაკრები რკ/ბ ჭის მოწყობა დ=1000მმ 1კომპლ. სიმაღლით 1მ. ხუფით** | 10 მ3 | **0.192** |
| | შრომითი რესურსები | კაც/სთ | 20.35 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 13.71 |
| | რ ე ს უ რ ს ე ბ ი | | |
| | რკ/ბ ჭა დ=1000მმ, ჰ-1000მმ | ც | 1.00 |
| | ბეტონი სახურავი ფილა, ხუფით | ც | 1.00 |
| | ბეტონი ძირის ფილა | ც | 1.00 |
| | სხვა მასალა | ლარი | 12.69 |
| 51 | **ჭის კედლების იზოლაცია ბიტუმის მასტიკით** | **მ2** | **3.14** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 1.06 |
| | მანქანები | ლარი | 0.05 |
| | ბიტუმი | ტ | 0.01 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.07 |
| 52 | **ფოლადის ურდულის მოწყობა დ-60** | ც | **5.0** |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 6.90 |
| | სხვა მანქანა | ლარი | 0.30 |
| | რესურსები | | |
| | ფ/ურდული დ=60მმ | ც | 5 |
| | სხვა მასალა | ლარი | 1.9 |
| 53 | **ფოლადის ურდულის მოწყობა დ-50** | ც | **1.0** |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 1.38 |
| | სხვა მანქანა | ლარი | 0.06 |
| | რესურსები | | |
| | ფ/ურდული დ=50მმ | ც | 1 |
| | სხვა მასალა | ლარი | 0.38 |
| 54 | **ფიტინგების მონტაჟი** | ც | **368.00** |
| | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | 128.80 |
| | მანქანები | ლარი | 84.640 |
| | რესურსები | | |
| | ადაპტორი მილტუჩით დ-60 | ც | 10 |
| | ადაპტორი მილტუჩით დ-50 | ც | 2 |
| | სამკაპი 75X75X32 | ც | 5.00 |
| | სამკაპი 75X75X40 | ც | 2.00 |
| | სამკაპი 75X75X50 | ც | 2.00 |
| | სამკაპი 63X63X40 | ც | 3.00 |
| | სამკაპი 63X63X32 | ც | 1.00 |
| | სამკაპი 75X63X75 | ც | 1.00 |
| | სამკაპი 32X50X32 | ც | 1.00 |
| | სამკაპი 50X32X50 | ც | 3.00 |
| | ადაპტორი 110/75 | ც | 3.00 |
| | გადამყვანი 75/50 | ც | 2.00 |
| | გადამყვანი 63/40 | ც | 1.00 |
| | გადამყვანი 50/32 | ც | 1.00 |
| | გადამყვანი 40/32 | ც | 1.00 |
| | უღელ უნაგირი 75/20 | ც | 25.00 |
| | უღელ უნაგირი 63/20 | ც | 20.00 |
| | უღელ უნაგირი 50/20 | ც | 29.00 |
| | უღელ უნაგირი 40/20 | ც | 67.00 |
| | უღელ უნაგირი 32/20 | ც | 24.00 |
| | პლასმასის ხუფი დ-20მმ | ც | 165.00 |
| | სხვა მასალა | ლარი | 3.68 |

| | | | |
|---|---|---|---|
| სოფელ პანტიანში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაო | | | |
| ცხრილი №2 | | | |
| | | | |
| № | სამუშაოს დასახელება | განზ. ერთ. | რაოდე-ნობა |
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | I. სატუმბო სადგური | | |
| 1 | ჭკვიანი ტუმბო ქ=2ლ/წმ ჰ=100მ, 2კვტ. მონტაჟი მართვის ფარით (1 მონტაჟი 2 ცივი მარაგი) | კომპ. | 2.00 |
| | ხელფასი | კომპ | 1.00 |
| | ჭკვიანი ტუმბო ქ=2ლ/წმ ჰ=100მ, 2კვტ. მონტაჟი მართვის ფარით | კომპ | 2.00 |

**დამატებითი ინფორმაცია**

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - სიმონ გულედანი ტელ: (577 95 50 77); გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსის მ.შ - ვეფხო მესტვირიშვილი ტელ: (577 95 47 51).

პროექტი

| |
|---|
| ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შესაძლოა დაზუსტდეს ან დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში |

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N

ქ. თეთრიწყარო ---- ------------------- 2016 წელი

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის ბესიკ წიკლაურის სახით და მეორეს მხრივ --------------------(შემდგომში "მიმწოდებელი")წარმოდგენილი --------------------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (NSPA-------------) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2."ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს სამუშაოების შესყიდვას.

1.5."მიმწოდებელი"-პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6."სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7."ტექნიკური დავალება" - N SPA--------- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ პანტიანში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა /45200000-CPV/.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. სტანდარტები და ხარისხი

3.1. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი საამშენებლო სამუშოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს -------- (-----------------------------------) ლარს.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 დაფინანსების წყარო: 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

**3. ანგარიშსწორების პირობები:**

3.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (შემსყიდველის მიერ დამოწმებული) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 30 დღის ვადაში.

3.2 ეტაპობრივი ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების 85%-ის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად 3.1 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

**3.3. დასაშვებია წინასწარ ანგარიშსწორება, რომლის შემთხვევაში:**

3.3.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების ღირებულების 30 %-ის წინასწარი გადახდით მიმწოდებლის მიერ იდენტური ოდენობის თანხაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემულ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, (მიმწოდებელი დარეგისტრირებულია თეთრ სიაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების 26$^2$ მუხლის მე-6 პუნქტი), რომლის მოქმედების ვადაც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადას. ხოლო შემდეგ კი ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით შემდეგი პირობებით:

3.3.1.1 შუალედური ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ სამუშაოების ეტაპობრივი შესრულების დროს, მიმწოდებლის მიერ მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ფორმა N2-ის), შესაბამისად გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარომოდგენის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის ვადაში. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 40% მიმართული იქნება გაცემული ავანსის დასაფარად, ხოლო დარჩენილი 60% ანაზღაურდება შემსყიდველის მიერ. აღნიშნული გრაფიკით ანგარიშსწორება განხორციელდება ავანსის სრულად ამოწურვამდე, ხოლო ამის შემდეგ შესრულებული სამუშაოები ანაზღაურდება სრულად ამ ხელშეკრულების 3.3.2 პუნქტის გათვალისწინებით.

3.3.2 ეტაპობრივი ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებლო ღირებულების 85%-ის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად ამ ხელშეკრულების 3.3.1.1 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

**4. საბოლოო ანგარიშსწორება:**

4.1 საბოლოო ანგარიშსწორება (სახელშეკრულებლო ღირებულების 15%-ის ფარგლებში) მოხდება სამუშაოების დასრულების შემდეგ, ს.ს.ი.პ. - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრი“-ს მიერ აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული სამშენებლო-საინჟინრო დადებითი დასკვნისა, (რომელიც წარმოდგელილი უნდა იყოს სამუშაოების დასრულებიდან, საბოლოო ფორმა #2-ის წარმოდგენიდან 45 კალენდარული დღის ვადაში. ექსპერტიზის ხარჯებს ფარავს მიმწოდებელი) და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის ვადაში.

4.2 მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემის შესაბამისი აკრედიტაციის მოწმობის ასლი.

4.3 დადებითი დასკვნის 4.1 პუნქტით განსაზღვრვლ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებუ დღეზე ხელშეკრულების ღირებულები 0,1%-ის ოდენობით.

**6. მიღება - ჩაბარების წესი**

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება სამუშაოების დასრულების და ექსპერტიზის დადებითი დასკენის შემდეგ, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

**7. სამუშაოს შესრულების ვადები**

7.1. სამუშაოები უნდა შესრულდეს 2016 წლის -----------დან 2016 წლის -----მდე;

**8. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პირიობები**

8.1 შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა მისი ექსპლუატაციაში მიღებიდან არის 2 (ორი) წელი, რომლის განმავლობაშიც შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდა არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

**9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

9.1. შემსყიდველი ვალდებულია:

9.1.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9.1.2. სამუშაოების შესრულების პროცესში საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

9.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

